

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დროებითი სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი

21.10.2015 წელი
10:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

წევრები: ადამ ხუხუნაიშვილი, ელისო ჭიჭინაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, ნონა მურვანიძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახა გუჯაბიძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი.

საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ ისაუბრა საკრებულოში დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობისა და მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დროებითმა სამუშაო ჯგუფმა მოსახლეობასთან ერთად დათვალია 1 ჰა-ზე მოსავლის სავარაუდო რაოდენობა და დასაბუთებით შეიმღება ითქვას, რომ 1 ჰა ფართობზე დაახლოებით 7 ტონა სიმინდი მოდის. ასევე დროებით სამუშაო ჯგუფს გაგზავნილი ქონდა წერილები საჯარო რეესტრსა და ეკონომიკის სამინისტროში 2010-2015 წლებში გაყიდული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასების დადგენის მიზნით, რომელზეც მიიღო ამონაწერები საჯარო რეესტრიდან. მან გააცნო საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებს საჯარო რეესტრიდან მოწოდებული ინფორმაცია, რომლის ანალიზის საფუძველზე მართებულად მიაჩნია სახელმწიფოს აუდიტის მიერ შეფასებული კვ/მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფასი 3 ლარი. დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს გიორგი ჩახვაძეს მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფომ ერთი წლის კონპესაციის თანხა გაზარდოს სამ წლამდე. მან ასევე ისაუბრა მიწის მონაცვლეობის შესახებაც და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს თავისუფალი მიწის ნაკვეთები და თუ კი იქნება დაინტერესებული მოსახლე მიწის მონაცვლეობით მუნიციპალიტეტი შესთავაზებს მას ალტერნატიულ ფართობს.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მიწის მონაცვლეობის საკითხი ინდივიდუალურია მოსახლემ უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტს სურვილის შემთხვევაში. მან ასევე აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფის მუშაობიდან სასწაულის მოხდენას არც ელოდებოდა, მაგრამ იმედეები ინფრასტრუქტურის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ დაკარგა, მიუხედავად ამისა მაინც არ დატოვა სამუშაო ჯგუფი დეპუტატების გამო. მან ასევე აღნიშნა, რომ მიწის ფასი რეალურია, მაგრამ უნდა გაიზარდოს კონპესაციის დაფინანსების წლები 1-დან 3 წლამდე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ ლარის დევალვაციას მიწის ფასზე გავლენა არ მოუხდენია და ამჟამადაც სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო მიწის კვ/მ-ი 0,60 ლარად გააქვს აუქციონზე.

დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე არ ეთანხმება სახელმწიფოს აუდიტის მიერ დადებულ დასკვნას მიწის ფასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ეს საკითხი კარგად უნდა იქნას შესწავლილი

სამუშაო ჯგუფის მიერ. მისი თქმით კონპესაციის ერთ წელზე გათვლა არასწორია და უნდა გაიზარდოს 3 წლამდე მაინც.


დეპუტატმა ადამ ხუხუნიანი აღნიშნა, რომ საკრებულოს დროებითმა სამუშაო ჯგუფმა რეალური სურათი უნდა დადოს მიწის ფასებთან დაკავშირებით. მას სწორად მიაჩნია სახელმწიფოს აუდიტის მიერ დადებული დასკვნა მიწის ფასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნავს, რომ კონპესაციის წლები უნდა გაიზარდოს.

დეპუტატმა ნონა მურვანიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა აუცილებელი იყო მოსახლეობისთვის. მათ ექნებათ საშუალება სასამართლოში წარადგინონ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ დადებული შეფასებები. მართალია იურიდიული ძალა არ გააჩნია სამუშაო ჯგუფის დასკვნას, მაგრამ დროებითმა სამუშაო ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის ინტერესები და კარგად შესწავლის შემდეგ მოახსენოს ცენტრალურ ხელისუფლებას თავისი მოსაზრებების შესახებ. მისი თქმით, სახელმწიფომ თავიდანვე დაარღვია მესაკუთრის უფლება. ის არ ეთანხმება სასოფლო-სამეურნეო მიწის შეფასებას 3 ლარად და მიაჩნია, რომ ეს საკითხი კარგად უნდა იქნას შესწავლილი და ნაჩქარევად არ იყოს მიღებული სამუშაო ჯგუფის მიერ, ხოლო კონპესაციის ანაზღაურების 1 წელი გაიზარდოს 3 წლამდე.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ხალხის მიერაა არჩეული და მათი ვალდებულებაა ხალხის პრობლემების შესწავლა და გადაწყვეტა. მას მიაჩნია, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა დაგვიანებით მოხდა. მისი აზრით, დროებითმა სამუშაო ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს თუ რატომაა აუცილებელი 1 წლის კონპესაციის თანხის გაზრდა 3 წლამდე.

საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამძემ აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფასის დასადგენად სამუშაო ჯგუფმა უნდა მიმართოს საქართველოს მეცნიერთა ეროვნულ აკადემიას, რადგან სამუშაო ჯგუფს საკითხის სრულყოფილად შესასწავლად ესაჭიროება შესაბამისი დარგის სპეციალისტები, რომლებიც შეაფასებენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ღირებულებას.

საკრებულოს დროებითი სამუშაო
ჯგუფის თავმჯდომარე:



გიორგი ჩახვამძე